# თავისუფალი საქართველო

№36
16 - 21 ოქტომბერი
1996 წ.

ფასი 20 თეთრი

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)


## შეწყდეს სისხლიანი ანგარიშსწორება

**მსოფლიოს ქვეყნების მთავრობებს საერთაშორისო ორგანიზაციებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს კეთილი ნების ყველა ადამიანს**

ჩვენ, საქართველოს საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მოგმართავთ თქვენ, რამეთუ მიგვაჩნია, რომ მხოლოდ საერთაშორისო თანამეგობრობის საერთო ძალისხმევითაა შესაძლებელი იმ პოლიტიკური ანგარიშსწორების შეჩერება, რომელსაც ადგილი აქვს დღეს ჩვენს ქვეყანაში.

1996 წლის 7 ოქტომბერს, საქართველოს უზენაეს სასამართლოში მიმდინარე პოლიტიკურ სასამართლო პროცესზე, სახელმწიფო ბრალმდებლებმა მოითხოვეს სამი განსასჯელის სიკვდილით დასჯა. ესენი არიან საქართველოს განდევნილი ხელისუფლების წარმომადგენლები:

ზვიად ძიძიგური - უზენაესი საბჭოს წევრი, დეპუტატი სამტრედიის რაიონიდან, ქ. სამტრედიის პრეფექტი 1991 წელს.

ვახტანგ ქობალია - საქართველოს ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს უფროსი, პოლკოვნიკი.

ჯამბულ ბოკუჩავა - საქართველოს ეროვნული გვარდიის ოპერატიული სამსახურის უფროსი, პოლკოვნიკი.

ადრე სასიკვდილო განაჩენი უკვე გამოუტანეს პოლიტპატიმრებს - ირაკლი დოკვაძეს, პეტრე გელბახიანს, ბადრი ზარანდიას. საქართველოში კატასტროფული სისწრაფით იზრდება სიკვდილმისჯილთა რიცხვი, რის თაობაზეც თავისი შეშფოთება გამოთქვეს ავტორიტეტულმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა. ნიშანდობლივია, რომ ეს ხდება იმ დროს, როდესაც საქართველოს მოქალაქეთა ფართო ფენები, პოლიტიკურ პარტიათა დიდი ნაწილი და საერთაშორისო ორგანიზაციები მოითხოვენ ქვეყანაში სიკვდილით დასჯის გაუქმებას.

შემაშფოთებელია, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში მიმდინარეობს პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა დაპატიმრება და განსჯა სამშობლოს ღალატის ბრალდებით (სისხლის სამართლის კოდექსის 65-ე მუხლი) და ეს ეხებათ იმ ადამიანებს, რომელთა მოღვაწეობა მიმართული იყო საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების დასაცავად. საერთაშორისო საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი, რომ დღეს საქართველოში ასზე მეტი პოლიტპატიმარია.

(გაგრძელება მე-3-ე გვერდზე)



მე თვითონ მიკვირს და მეცინება, რა უბადრუკები არიან, როგორ უნდათ ჩვენი გატეხვა. რამ უნდა გამტეხოს, როცა მართალი ვარ ღვთის, ერის, სინდისის, პრეზიდენტისა და ყველას წინაშე. ჩვენ ერთი რამ უნდა შევიმეცნოთ, კარგად, რომ ერის გამოფხიზლება მხოლოდ მაგალითის ძალით შეიძლება.

ზვიად ძიძიგური

## სასიკვდილო განაჩენი იგივე მკვლელობაა

**სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს**

უპირველესად, ვითხოვთ თქვენს ლოცვა-კურთხევას, რათა ღვთის მადლით გაძლიერებულთ შეგვეძლოს საქართველოს საერო და სულიერ ცხოვრებაში თანამონაწილეობა ღვთისადმი სასოებით, მტკიცედ და შეურყევლად, ვითარცა ჭეშმარიტ ქრისტეანებს.

თქვენო უწმინდესობავ, მოგეხსენებათ, ღვთის თანადგომის მოთხოვნილება ადამიანს მომეტებულად გასაჭირის ჟამს აქვს, და არის წუთები, როცა გვიჭირს სულიერი სიმშვიდის და წონასწორობის შენარჩუნება, გვიჭირის ზეცისა და ქვეყნის შემოქმედს მივანდოო ყოველივე და ვიდრე მცირედი იმედი მაინც არსებობს იმისა, რომ ჩვენი გარჯით ღვთის წყალობას დავიმსახურებთ, რათა მოყვასს განსაცდელი შევუმსუბუქოთ, ყოველმა ჩვენგანმა საამისოდ ბოლომდე უნდა ყველაფერი ილონოს.

ღვთის მადლით, კაცობრიობის ერთი ნაწილი უკვე მივიდა იმ აზრამდე, რომ სასიკვდილო განაჩენი იგივე მკვლელობა და დანაშაულია, და რომ სასჯელით არ აღიხოცება დანაშაული და ცოდვა. საქართველო კი არჩევანის წინაშე დგას ჯერაც - შეუერთდება კეთილი ნების ადამიანთა ამ გადაწყვეტილებას თუ არა, და საქართველოს საერო ხელისუფლება სასჯელის უმაღლეს ზომას განაჩენად იშველიებს დღესაც.

თქვენო უწმინდესობავ, სასიკვდილო განაჩენის გამოტანა მით უფრო შემაძრწუნებელი და გაუმართლებელია მათ მიმართ, ვისაც პოლიტპატიმრები ჰქვიათ. მოგეხსენებათ, სამშობლოს თავისუფლებისთვის, საკუთარი ერის, ხალხის კეთილდღეობისთვის ზრუნვა პოლიტიკა კი არა, მამულიშვილობა და ქველი საქმეა. და მით უფრო მოუთმენელია, როცა ასეთ მამულიშვილებს ასამართლებენ სამშობლოს ღალატის ბრალდებით და მათ დახვრეტას ითხოვენ. 7 ოქტომბერს სახელმწიფო ბრალმდებლებმა მოითხოვეს ზვიად ძიძიგურის, ჯამბულ ბოკუჩავას, ვახტანგ ქობალიას სიკვდილით დასჯა. ამავე სასჯელით ციხის ჯურღმულებში ეწამებიან პეტრე გელბახიანი, ირაკლი დოკვაძე, ბადრი ზარანდია და სხვები. იგივე განაჩენი ელოდებათ მათ, ვინც ეროვნული ცნობიერების გამო იდევნებიან.

თქვენო უწმინდესობავ, გთხოვთ, თქვენი შესაძლებლობებით, სულიერი თუ ხორციელი ღვაწლით შეგვეწიოთ, რათა გაუქმებულ იქნეს სასიკვდილო განაჩენი პოლიტპატიმართა მიმართ, მით უფრო, რომ საერო სამართლებრივი ნორმების მიხედვითაც, მათი ბრალი არ დასტურდება. ხოლო ზვიად ძიძიგურის , ჯამბულ ბოკუჩავასა და ვახტანგ ქობალიას მიმართ მოსამართლის მიერ განაჩენად არ იქნეს გამოტანილი სასჯელის უმაღლესი ზომა.

ღმერთმა შეგვაძლებინოთ ღირსეული მამობა- სრულიად საქართველოისა!

ღმერთმა გაგაძლიეროთ და განგამტკიცოთ, და ყოველნაირი თქვენი ღვაწლი, ვითარცა ჩვენდამი თანადგომის გამოხატულება, შეიწიროს უფალმა თქვენდა საცხონებლად, ერის საკეთილდღეოდ, უფლის სადიდებლად!

**ნაზი ბზიავა, მარინე ძიძიგური, ნელი ქობალია, ეთერ ქობალია, ანა ბოკუჩავა, ნინო ბოკუჩავა, მარინე ზარანდია, ქეთევან ზარანდია, ნინო ტატიშვილი-გელბახიანი, ლეილა დოკვაძე**

## უმაღლესი ზომა ყველასთვის

საბჭოთა რესპუბლიკებს შორის, 70-იან წლებში, პროცენტული მონაცემებით, საქართველო პირველ ადგილზე იყო სასიკვდილო განაჩენების რაოდენობით. ისტორია მეორდება შემზარავი სიზუსტით: მოსკოვში გვამად ქცეულ ბელადს კვლავ ხოტბას ასხამენ აწ უკვე დემოკრატიის მედროშეებად გადანათლული კომუნისტები, ჩვენში კი -ძველი ცკ-ს მდივანი ძველებურად იჭერს და ხვრეტს ბიჭებს. პროკურატურა არც კი ცდილობს დამაჯერებლად აკინძოს მის მიერ შეთხზული დრამატურგიის ქარგა. ყოველი საქმის ყოველ ფურცელს სისხლის, ცრემლის ან დამწვარი ხორცის სუნი უდის და ყარს ირგვლივ ყველაფერი, ყარს, ყარს...

ამ სუნს უკვე ყველა გრძნობს - ჩვენც და ისინიც. განურჩევლად მოტივებისა, ამ მყრალ ჭაობში ცხოვრება გაუსაძლისია ყველასთვის, მით უფრო, როცა თვით სიცოცხლეც არაა დაცული და ნებისმიერ დროს შეიძლება აღმოჩნდე ტყვიის ქვეშ. ეს რაფინირებული, კანონის შესაბამისად, პროკურატურაში შეთითხნილი და სასამართლოებში დადასტურებული მკვლელობები, გაგრძელება ქუჩის დახვრეტების, მხოლოდ ამჯერად მიზანში არა ერთი რომელიმე მხარეა ამოღებული, არამედ ნებისმიერი.

ბუნებრივია, თავად ეს გარემოება განაპირობებს საყოველთაო რეაქციას და შეიძლება ნიშნის მოგების საფუძველიც გახდეს. მაგრამ რა არის ნიშნის მოსაგები - ის, რომ ვიღაცამ შენზე გვიან იგრძნო საფრთხე? ცუდია, რომ ადრევე ვერ იგრძნო, მაგრამ რაკი საზოგადოების ერთი ნაწილი ფხიზლდება საკუთარი შიშის დაძლევის გზით, მაშასადამე სიმართლე იმარჯვებს, იკვლევს გზას ადრე დახშული გულებისკენ.

ვიღაცა ისედაც იზრუნებს იმაზე, რომ გააქარვოს, ჩაახშოს ეს პროტესტი. იზრუნა კიდეც თავიდანვე და ახლაც ზრუნავს. ჯერ ეს სასამართლო პროცესი დაწყებულიც არ იყო, როცა იგი "ბინძურ საქმედ" მოინათლა და საზოგადოების ერთი ნაწილი საერთოდ გაემიჯნა მას. ჩვენ მაშინვე ვამბობდით: ეს არაა რომელიმე პიროვნების საქმე - ესაა საქართველოს უკანასკნელი წლების, ეროვნული მოძრაობის ისტორიის გაყალბების მცდელობა და ვინც მოწმეა ამ ისტორიისა, ვალდებულია დაიცვას იგი. ესაა მცდელობა დიქტატორისა, სხვას გადააბრალოს თავისი დანაშაული და პასუხი აგებინოს ქვეყნის დაქცევისთვის, ისტორიული მიწების გასხვისებისთვის, დანგრეული ქალაქებისთვის, დაღუპული ახალგაზრდობისთვის, დაკარგული დამოუკიდებლობისთვის; თითქოსდა საქართველოს თავს დატეხილი ტრაგედია შედეგია სახელმწიფოებრიობის აღდგენისთვის ბრძოლის, და არა კომუნისტურ-კრიმინალური რევანშისა, რომელიც ჯერ არ დასრულებულა.

ამჯერად ახალი სატყუარაა ამოქმედებული, რომ თითქოს სასიკვდილო განაჩენი არ იქნება გამოტანილი, ყოველ შემთხვევაში, ორი განსასჯელის მიმართ მაინც. გაუგებარია მხოლოდ, რატომ ხსნის ეს პასუხისმგებლობას საზოგადოებას - განა ერთის ბრალეულობა დაამტკიცა სასამართლომ? ან საერთოდ ვინმეს განსჯის, და მით უფრო სიკვდილით დასჯის უფლება აქვს დიქტატორს?

ნიშანდობლივია, რომ დოკვაძისა და გელბახიანის განაჩენის წინ ასევე დარწმუნებული იყვნენ გარკვეული წრეები, რომ სასიკვდილო განაჩენი არ შედგება, ხოლო შემდეგ - რომ სიკვდილმისჯილებს შეიწყალებენ. განაჩენი გამოიტანეს, იმ ორს დაუმატეს ერთიც და იმ სამს - კიდევ სამი. მაშ რატომ აგროვებენ სიკვდილმისჯილებს? ამაზეც არის პასუხი - რომ მზადდება ამნისტია და დიქტატორი, თავისი ჰუმანურობის დემონსტრირებისთვის, გამოაცხადებს მორატორიუმს სიკვდილით დასჯაზე. და ამ ოპტიმიზმის ფონზე - სრულიად ფუჭი ჩანს ყოველგვარი ბრძოლა სიკვდილმისჯილთა გადარჩენისთვის, რაკი მაინც გადარჩებიან.

და ისევ იგივე კითხვა ჩნდება - რატომ ათავისუფლებს ვიღაცის ფსევდოჰუმანური ჟესტი რომელიმე ჩვენგანს პასუხისმგებლობისგან? ან კი სად არის გარანტია? იმაში, რომ სიკვდილმისჯილი პოლიტპატიმრები ჯერ არ დაუხვრეტიათ? სწორედ იმიტომაც არ დაუხვრეტიათ, რომ ამის საწინააღმდეგო საზოგადოებრივი აზრი მძაფრდება, ხოლო მსგავსი ინსინუაციები სწორედაც ამ სიმძაფრის განელებას ემსახურება და არა ოპტიმიზმის დანერგვას. მაინცდამაინც უნდა დაიხვრიტოს თუნდაც ერთი? მაგრამ, საფიქრალია, სირაქლემას ცნობიერების მატარებელნი ამ შემთხვევაშიც დაგვამშვიდებენ - ის ერთი ღირსი იყო დახვრეტისო. და სწორედ ესაა უარყოფა პრინციპისა: რაკი მოძალადეს აქვს ერთის დასჯის უფლება, მაშასადამე, აღიარებულია ზოგადად მისი უფლება, დასაჯოს ვინმე. და, ამის შემდეგ, იგი ბოლომდე გამოიყენებს ამ ნაჩუქარ შესაძლებლობას - დახვრეტს ყველას, მათაც კი, ვინც დღეს ჯერ კითომ თავისუფალია.

დღეს უკვე შეიძლება ითქვას, რომ უზურპატორმა პროცესი წააგო. წააგო, მის მიერ მიღებული პროპაგანდისტული თუ ძალისმიერი ზომების მიუხედავად. წააგო მთავარ, სტრატეგიულ საკითხებშიც და კონკრეტულ ბრალდებებშიც. პროკურატურამ ვერ უზრუნველყო მის მიერ მოყვანილი მოწმეების დამაჯერებლობაც კი, ხოლო სასამართლომ კიდევ უფრო სახიერად წარმოაჩინა, რომ არარსებული უწყებაა, ხელისუფლებისა და სადამსჯელო სისტემის პირისფარეში.

პროკურორის საბრალდებო სიტყვა - საბჭოური არასამართლებრივი დემაგოგიის კლასიკური ნიმუში, და მისი მოთხოვნა - ოთხიდან სამი განსასჯელი პოლიტპატიმრის დახვრეტის შესახებ, მხოლოდ ააშკარავებდა დიქტატორის ისტერიას, მის გაცოფებას.

საფიქრალია, რომ საზოგადოების პროტესტს მოჰყვება ხელისუფლების რეაქციაც და, შესაძლოა, საკმაოდ მძაფრი რეაქცია. ასე რომ, ყველანი - ჩვენც და ისინიც - ახალი გამოცდის წინაშე ვდგავართ. შევინარჩუნებთ თუ არა სიმტკიცეს მრავალმხრივი დაწოლის, მრავალსახოვანი ფსიქოლოგიური თუ ძალისმიერი ზემოქმედებების მიუხედავად? ეს უკვე პრინციპისა და ღირსების საკითხია და ამაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული - იქნებ, ჩვენი მომავალიც.

*ანა ჭავჭავაძე*

ეროვნული

# აღიმაღლეთ ხმა ამ უსამართლობის წინააღმდეგ

**საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უკლებლივ ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციას, ყველა პატიოსან, სამშობლოსმოყვარე ქართველს**

ძმებო, ქართველებო!

მიუხედავად იმისა, ბარიკადების რომელ მხარეს დაგვაყენა უკუღმართმა დროებამ, უდიდესი უსამართლობის ჩადენის საფრთხე დამოკლეს მახვილივით დაეკიდა ყველა ქართველის, სინდისიერი ადამიანის თავზე. გახსოვდეთ, მზაკვარნი და ჭეშმარიტების, სამშობლოს მოღალატენი, მტრები უსამართლობას ჩვენი უსიტყვო თანხმობითაც სჩადიან. არ მოგვასვენებს შემდგომ სინდისი.

უდანაშაულო ადამიანების - ზვიად ძიძიგურის, ჯამბულ ბოკუჩავას, ლოთი ქობალიას სიცოცხლე საფრთხეშია!

დამნაშავე, სამშობლოს მოღალატე დიქტატორი, პოლიტიკური ანგარიშსწორების მიზნით, ფიზიკურად ანადგურებს უდანაშაულო ადამიანებს. აღიმაღლეთ ხმა უსამართლობის, ბარბაროსული ანგარიშსწორების წინააღმდეგ. დღევანდელ ქართულ სამართალს, რომელიც პარანოიკის დიქტატორის ფეხქვეშ გართხმულა, არ ძალუძს გამოიტანოს სამართლიანი განაჩენი - მან ეს არაერთხელ დაამტკიცა. მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით ვიხსნით პატრიოტთა სიცოცხლეს.

არ დავუშვათ ეს გასაოცარი უსამართლობა, თორემ უკლებლივ ყველას შეგვაჩვენებს შთამომავლობა.

*ნუგზარ მოლოდინაშვილი*

**ღვინობისთვის 9, 1996 წელი**

# პროკურორის მოთხოვნაზე პროტესტს გამოთქვამენ...

**7 ოქტომბერს უზენაეს სასამართლოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესზე ბრალდების მოთხოვნას, სასჯელის უმაღლესი ზომა მიესაჯოთ პოლიტპატიმრებს - ზვიად ძიძიგურს, ვახტანგ ქობალიას, ჯამბულ ბოკუჩავას - მოჰყვა საქართველოს საზოგადოების ფართო ფენებისა და პოლიტიკურ ძალთა მთელი სპექტრის მძაფრი რეაქცია**

### ...თანამებრძოლნი

პოლიტპატიმართა მიმართ სასიკვდილო განაჩენის გამოტანის წინააღმდეგ ერთობლივი განცხადებით გამოვიდა საქართველოს თერთმეტი პოლიტიკური პარტია და საზოგადოებრივი ორგანიზაცია: საქართველოს ჰელსინკის კავშირი, კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება, ეროვნული ფრონტი-რადიკალური კავშირი, საქართველოს ნაციონალ-კონსერვატიული პარტია, საქართველოს კონსერვატიული ლიგა, ნეოკონსერვატიული პარტია. განმცხადებლები მიიჩნევენ, რომ ამგვარი განაჩენი შეიძლება ჩაითვალოს საჯაროდ გაცხადებულ პოლიტიკურ მკვლელობად, ვინაიდან - "მიმდინარე სასამართლო პროცესზე ვერ იქნა დამტკიცებული განსასჯელ პოლიტპატიმართა და სამხედრო ტყვეთა ბრალეულობა, გამოაშკარავდა წინასწარი ძიების დროს დაშვებული უხეში დარღვევები, ბრალდებულთა წამებისა და მოწმეებზე ზეწოლის ფაქტები. ბრალდებისთვის არასასურველ მოწმეებზე ზეწოლა მიმდინარეობდა სასამართლო სხდომებზეც, თვით მოსამართლის მხრიდან... სასამართლოს მიერ უხეშად ილახებოდა საპროცესო კოდექსი, კანონითა და საერთაშორისო ნორმებით გარანტირებული განსასჯელთა უფლებები, არ იყო უზრუნველყოფილი მათი რეალური დაცვა. წინასწარი ძიებისა და სასამართლო პროცესის დროს ადგილი ჰქონდა უდანაშაულობის პრეზუმფციის უხეშ დარღვევებს ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირთაგან".

### ...მოწინააღმდეგენი და ოპონენტები

10 ოქტომბერს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის შტაბბინაში გაიმართა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საორგანიზაციო კომიტეტის პრესკონფერენცია, რომელსაც უძღვებოდა სედპ-ს თავმჯდომარე, ირაკლი წერეთელი. პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს გააცნეს კომიტეტში შემავალ პარტიათა განცხადება, რომელშიც გამოხატულია პროტესტი ბრალმდებლის მოთხოვნაზე - სიკვდილით დაისაჯონ ზვიად ძიძიგური, ვახტანგ ქობალია და ჯამბულ ბოკუჩავა. "ხელისუფლების ძალით დამხობამ და შეცვლამ ანგარიშსწორების პოლიგონი გადაიტანა ყოფილი ხელისუფლების მომხრეთა სალიკვიდაციო მცდელობებში. ნაწილი ამ ძალების განადგურებულია ფიზიკურად, ნაწილი - "კანონმდებლობის" ამოქმედებით - ნადგურდება ან განადგურდება მომავალში. ამისი ნათელი მაგალითებია დევნილი ხელისუფლების მომხრეთა გახმაურებული არაობიექტური სასამართლო პროცესები". - ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერს კომიტეტში შემავალი 16 პოლიტიკური პარტია. ამათგან, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, მერაბ კოსტავას საზოგადოება, გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია, აფხაზეთის წინააღმდეგობის კომიტეტი და სხვ. განაცხადებას შეუერთდნენ: კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია და ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი.

* * *

პარლამენტის მაჟორიტარმა დეპუტატმა სამტრედიის ოლქიდან - ტარიელ ჩაჩუამ პრესაში განაცხადა, რომ სამტრედიის მოსახლეობა, რომელსაც კარგად ახსოვს ზვიად ძიძიგურის პრეფექტად მოღვაწეობის პერიოდი, აღშფოთებას ვერ მალავს პროკურატურის მოთხოვნის გამო, ხოლო ადგილობრივ ხელისუფლებას ნეიტრალური პოზიცია უკავია, ვინაიდან თავიანთი სკამების დაკარგვისა ეშინიათ.

"მე თვალყურს ვადევნებდი ამ სასამართლო პროცესს და ბრალდება ლოთი ქობალიასაც კი ვერ უმტკიცებს ფიზიკურ პირთა მკვლელობას". დეპუტატი აღშფოთებულია იმით, რომ ბრალდებამ მოითხოვა საქმის აღძვრა იმ მოწმეების მიმართ, რომლებიც არ ადასტურებენ ამ მკვლელობებს. მისი აზრით, სამართალდამცავ და მართლმსაჯულების ორგანოებს იმდენად აქვთ გატეხილი სახელი, რომ მათი ბრალდებები არავისთვისაა დამაჯერებელი. "მე ვიხსენებ იმ საბედისწერო შეცდომას, როდესაც თვითმფრინავის გამტაცებელი ბიჭები დავხვრიტეთ. (...) ჩვენ უბრალოდ არ გვაქვს უფლება ეს შეცდომა კიდევ გავიმეოროთ."

(გაზეთი "ახალი თაობა", №163, 12.10.96).

### ...დევნილები

აფხაზეთიდან დევნილმა 50-მა პიროვნებამ განცხადებით მიმართა უზენაესი სასამართლოს კოლეგიის წევრს, ალექსანდრე ალადაშვილსა და სახალხო მსაჯულებს - ი. იჩკიტაძესა და ბ. დევდარიანს. ისინი აღნიშნავენ, რომ ვახტანგ ქობალია და ჯამბულ ბოკუჩავა თავდადებულად იბრძოდნენ აფხაზეთში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, ხოლო ზვიად ძიძიგური და ნუგზარ მოლოდინაშვილი ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ უზრუნველეყოთ აფხაზეთიდან დევნილთა უსაფრთხო გადმოყვანა სამეგრელოს ტერიტორიაზე, მოეცათ თავშესაფარი და საკვები. "ისინი ჩვენი მოთხოვნით ახორციელებდნენ ეროვნული ხელისუფლების აღდგენას, ვინაიდან მიგვაჩნდა და მიგვაჩნია, რომ აფხაზეთის დაბრუნება მხოლოდ ეროვნული ხელისუფლების აღდგენით არის შესაძლებელი." - აცხადებენ დევნილები, რომლებიც, სასიკვდილო განაჩენის გამოტანის შემთხვევაში, აპირებენ მიმართონ პროტესტის მშვიდობიან, უკიდურეს ფორმას. მიმართვაზე ხელმოწერები გრძელდება.

**მოგილოცავთ, ძმებო! ჩვენ ეს პოლიტიკური სპექტაკლი ისე ჩავატარეთ, რომ "ჟიურისგან" უმაღლესი შეფასება დავიმსახურეთ.**

*ჯამბულ ბოკუჩავა*

**შენთან და შვილებთან ერთად სიამაყით ვხვდები ამ განაჩენს. ბედნიერი ვარ, რომ ჩემს დაღუპულ ძმებთან ერთად სამშობლოს ვეწირები.**

*ვახტანგ ქობალია*

# შეწყდეს სისხლიანი ანგარიშსწორება

საქართველოში არსებული წინასწარი და სასამართლო ძიების არსებული პრაქტიკა არ იძლევა განსასჯელ პირთა მიმართ სამართლიანი განაჩენის გამოტანის გარანტიას. ამ და სხვა პოლიტიკურმა პროცესებმა გამოააშკარავეს, რომ საქართველოში პროკურატურა და სასამართლო საბჭოთა რეპრესიული სისტემის მემკვიდრეა და თავის საქმიანობაში მიმართავს საყოველთაოდ აკრძალულ მეთოდებს: ჩვენებებისა და მტკიცებულებების გამოძალვის მიზნით ბრალდებულთა და მოწმეების წამება, სასტიკი მოპყრობა, ფსიქოლოგიური ზეწოლა, დოკუმენტების ფალსიფიკაცია, დაცვის უფლების დარღვევა, საპროცესო კოდექსის უგულებელყოფა, დამცველების დევნა-შევიწროება და სხვა.

საერთაშორისო ორგანიზაციები, ადამიანის უფლებათა დამცველები, საინფორმაციო საშუალებები საქართველოში აწარმოებენ მუდმივ დაკვირვებას ამ პროცესებზე და მათი ინფორმაციები ადასტურებს ჩვენი შეფასების მართებულობას.

ჰუმანური პრინციპებიდან გამომდინარე, მოგიწოდებთ, მიმართოთ საერთაშორისო შეთანხმებებით აღიარებულ თქვენს ხელთ არსებულ ყველა საშუალებას, რათა საქართველოში შეწყდეს სისხლიანი ანგარიშსწორება, გაუქმდეს ფალსიფიცირებულ ბრალდებათა საფუძველზე გამოტანილი უსამართლო სასიკვდილო განაჩენები.

მოვითხოვთ ყველა პოლიტპატიმრის განთავისუფლებას! თავისუფლება ზვიად ძიძიგურს, ვახტანგ ქობალიას, ჯამბულ ბოკუჩავას, ირაკლი დოკვაძეს, პეტრე გელბახიანს, ბადრი ზარანდიას!

**მუხრან მაჭავარიანი** - პოეტი; **ნოდარ წულეისკირი** - მწერალი; **ირაკლი ოჩიაური** - მხატვარი, პროფესორი; **ვახტანგ ბოჭორიშვილი** - პროფესორი, სეფსისის ცენტრის ხელმძღვანელი, ნიუ-იორკის აკადემიის საპატიო წევრი; **გიორგი ოჩიაური** - მხატვარი, პროფესორი; **ალექსანდრე რეხვიაშვილი** - კინორეჟისორი; **თეიმურაზ ჯანელიძე** - მუსიკოსი; **ზურაბ ძოწენიძე** - ქიმიკოსი, თსუ პროფესორი; **ოთარ კობერიძე** - სახალხო არტისტი; **თინათინ მგალობლიშვილი** - დამსახურებული არტისტი; **ლია ელიავა** - სახალხო არტისტი; **ბორის ბერულავა** - ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **ალეკო ქორელი** - ბიოლოგი, პროფესორი; **ნოდარ უდრელიძე** - რადიოფიზიკოსი, პროფესორი, ნიუ-იორკის აკადემიის საპატიო წევრი; **ელენე ობოლაშვილი** - მათემატიკოსი, თსუ პროფესორი; **დევი უგრეხელიძე** -ქიმიკოსი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; **დალი კუკულაძე** - ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი; **გია მრევლიშვილი** - ფიზიკოსი, პროფესორი, ნიუ-იორკის აკადემიის საპატიო წევრი; **ლია ანდღულაძე** - ფილოლოგი, მეცნიერებათა კანდიდატი; **ნანა ლეჟავა** - ქიმიკოსი, მეცნიერებათა დოქტორი; **დარეჯან სირია** - თსუ უფროსი მასწავლებელი; **მანუჩარ ლანჩავა** - მეტალურგიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე; **ლიანა ენუქიძე** - ქიმიკოსი, მეცნიერებათა კანდიდატი; **ვლადიმერ შავგულიძე** - ქიმიკოსი, მეცნიერებათა დოქტორი; **ვახტანგ ქართველიშვილი** - თეატრმცოდნე; **ოლეგ ნამიჩეიშვილი** - პროფესორი, თსუ კათედრის გამგე; **მირიან გვრიტიშვილი** - ბიოლოგი, პროფესორი; **ნაპო კვარაცხელია** - ფილოსოფოსი, თსუ პროფესორი; **გურამ ნაჭყებია** - იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი; **ვიქტორ კახნიაშვილი** - ფილოლოგი, გერმანისტი; **ზურაბ ხასაია** - ფილოსოფოსი, თსუ პროფესორი; **ლერი გოგოლაძე** - მათემატიკოსი, პროფესორი, თსუ კათედრის გამგე, აშშ მათემატიკოსთა საზოგადოების საპატიო წევრი; **ნოდარ ჯალაღონია** - პოეტი, გაზეთის "ლაშარის გორი" მთავარი რედაქტორი; **თამარ ებრალიძე** - "თავისუფალი საქართველოს" მთავარი რედაქტორი; **ელენე აბაშიძე** - გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი; **ჯუმბერ ჭელიძე** - აგრარული უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი; **თეიმურაზ ქაცარავა** - აგრარული უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი, დოცენტი; **გურამ მუმლაძე** - ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი; **ნოდარ კიკნაძე** - ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი; **აულა გიგაური** - აგრარული უნივერსიტეტის დოცენტი; **ზურაბ ურუშაძე** - ფიზიკოსი, პროფესორი; **სოსო სიგუა** - პროფესორი; **ირაკლი კენჭოშვილი** - მწერალი, კრიტიკოსი; **ჯემალ დავლიანიძე** - მწერალი; **მამუკა წიკლაური** - მწერალი; **ოთარ შალამბერიძე** - მწერალი; **დილარ ივარდავა** - პოეტი; **ედიშერ გიორგაძე** - მწერალი; **გურანდა ღვალაძე** - ბიოლოგი, პროფესორი; **მიხეილ ჩაჩუა** - მწერალი; **ლულუ კოპალეიშვილი** - დოცენტი; **ბელა შავლაშვილი** - პოეტი, მთარგმნელი; **ზურაბ სალია** - ფიზიკოსი, თსუ დოცენტი; **სიმონ წერეთელი** - ფიზიკოსი, თსუ დოცენტი; **თინა კერესელიძე** - საფრანგეთის მოქალაქე, კავკასიაში ადამიანის უფლებათა შემსწავლელი ცენტრის საფრანგეთის განყოფილების ხელმძღვანელი; **იზოლდა შველიძე** -კინოდოკუმენტალისტი; **გურამ ჩიკორია** - ინჟინერი; **შოთა კიკნაძე** - სახალხო არტისტი; **ჯამბულ წიკლაური** - პედაგოგი; **რეზი არაბიძე** - შსს განყოფილების უფროსი, პოლკოვნიკი; **ზურაბ შანიძე** - კინორეჟისორი, დოკუმენტალისტი; **ლია გუდაძე** - მსახიობი;

რევაზ რამიშვილი - აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, კათედრის გამგე; რამინ რამიშვილი - არქეოლოგი, პროფესორი; როლანდ გაჩეჩილაძე - მათემატიკოსი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი; ლია სვანიძე - ქიმიკოსი, მეცნიერებათა კანდიდატი; ზაურ კალოევი - სპორტის დამსახურებული ოსტატი; ოთარ გაბელია - სპორტის დამსახურებული ოსტატი; დარეჯან საბაშვილი - ეკონომისტი, აგრარული უნივერსიტეტის დოცენტი; ამირან კვანტალიანი - ინჟინერი, აგრარული უნივერსიტეტის დოცენტი; გრიგოლ კვაშილავა - აგრარული უნივერსიტეტის დოცენტი; გომარ სიხარულიძე -მუსიკოსი, პროფესორი

# განაჩენი შევარდნაძეს გამოაქვს

**უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს - მინდია უგრეხელიძეს**

**ეუთო-ს წარმომადგენლობას საქართველოში, გაეროს წარმომადგენლობას საქართველოში, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებს.**

**საინფორმაციო საშუალებებს მსოფლიოს ქვეყნების წარმომადგენლობებს საქართველოში**

**თბილისის №1 იზოლატორში მყოფი პოლიტპატიმრების**

**პ რ ო ტ ე ს ტ ი**

პროტესტს გამოვთქვამთ "ვახტანგ ქობალიასა და სხვათა მიმართ" მიმდინარე სასამართლო პროცესზე პროკურორების მიერ კიდევ სამი ქართველი მამულიშვილის მიმართ მოთხოვნილი სასიკვდილო განაჩენის გამო. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ მართლმსაჯულება, მარიონეტული ხელისუფლების ხელში, სადამსჯელო ორგანიზაციაა და მისი ნების უსიტყვო აღმასრულებლად გადაიქცა.

ჩვენ თქვენგან რაიმეს მოთხოვნას უაზრობად ვთვლით, რადგანაც ვიცით, რომ განაჩენი შევარდნაძეს გამოაქვს და თქვენ მხოლოდ სასამართლო სპექტაკლებზე აქვეყნებთ მას. უბრალოდ შეგახსენებთ, რომ ზემოაღნიშნული სასამართლო პროცესი ქართველი ერის ისტორიის შემადგენელი ნაწილია, რომელიც უცილობელ ჭეშმარიტ შეფასებას მომავალში მიიღებს. თქვენ კი, ქართველი ერის წინააღმდეგ მიმართული ამგვარი ქმედებით, განაჩენი საკუთარი თავისთვის გამოგაქვთ და, ოცდაათიანი წლების მართლმსაჯულების განმახორციელებელთა მსგავსად, სამარცხვინო სახელით დარჩებით ქართველი ერის ხსოვნაში.

*პოლიტპატიმრები: კობა ძიძიგური, ვაჟა წერეთელი, ზაზა დანელია, გიორგი ყორბესაშვილი, ზვიად შეროზია, ნუკრი იორამიშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა

მსოფლიოში სახელგანთქმული "დემოკრატის", ედუარდ შევარდნაძის მიერ საქართველოში დემოკრატიის შენების პროცესი ძვირად უჯდება ქართველ ხალხს. დემოკრატიის მშენებლობას ეწირება ასობით საუკეთესო ქართველის სიცოცხლე და, რაც მთავარია, ეს ხდება ქვეყანაში სტაბილიზაციისა და წესრიგის დამყარების მოტივით. მისი მმართველობის ყველა პერიოდში საქართველოში კატასტროფული პროგრესიით მატულობს სიკვდილმისჯილთა რიცხვი.

სულ ახლახანს, უზენაეს სასამართლოში მიმდინარე სასამართლო პროცესზე, რომელიც "გამსახურდიასა და მის მომხრეთა საქმეს" იხილავს, სახელმწიფო ბრალმდებელმა კიდევ სამი ადამიანის სიკვდილით დასჯა მოითხოვა. საქმე ისაა, რომ ეს მოთხოვნა არ ეფუძნება სამართალდამცავ ორგანოთა მიერ სამართლებრივ საფუძველზე დადგენილ, ობიექტურად დასაბუთებულ ფაქტებსა და რეალობას. ეს არის წინასწარ დაწერილი საბრალდებო დასკვნა-სცენარის განხორციელების მორიგი მცდელობა ზემოდან შემოთავაზებული კონიუნქტურის გათვალისწინებით. კომუნისტური რეჟიმიდან შემორჩენილი სტერეოტიპები და საშემსრულებლო აპარატის მუშაობის სტილი დღემდე მესამე ხელისუფლებას დამოუკიდებელი, თავისუფალი და ობიექტური მუშაობის ყველა საშუალებას უსპობს; ამიტომაც, "დამნაშავეთა" გასამართლების პრეროგატივაც რეჟიმსა და ხელისუფლებას ეძლევა და არა სამართალდამცავ ორგანოებს.

ზვიად ძიძიგურის, ჯამბულ ბოკუჩავას და ვახტანგ ქობალიას პოლიტიკური პროცესის მსვლელობის მანძილზე ნომენკლატურული ტელევიზია და პრესა ცდილობს შექმნას საზოგადოებრივი აზრი. ამ მიზნის მისაღწევად იგი არ ერიდება უდანაშაულობის პრეზუმფციის უხეშ დარღვევას და სრულიად არაკომპეტენტურ, ტენდენციურ კომენტარებს, ფაქტების დამახინჯებას. ყოველივე ეს მიმართულია იქითკენ, რომ სასამართლოს მიერ დაკანონებული ყველაზე სასტიკი განაჩენიც კი საზოგადოებამ უაპელაციოდ გაიზიაროს.

ამისდა მიუხედავად, ბრალმდებლის მოთხოვნამ ყველა მოლოდინს გადააჭარბა. სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა - იქნა მოთხოვნილი 65-ე მუხლის (სამშობლოს ღალატის) საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ დღეს ამ მუხლით სამართლდება კანონიერი ხელისუფლების მომხრე თითქმის ყველა პოლიტპატიმარი. იძულებითი ნაბიჯია ეს არსებული ხელისუფლების მხრიდან თუ შეგნებული აქტი? ალბათ, ორივე ერთად. გამსახურდიას მომხრეთა მხრიდან დანაშაულის არარსებობა იძულებულს ხდის ხელისუფლებას, ის რეპრესიული სტერეოტიპი გამოიყენოს, რომელიც კომუნისტური რეჟიმის მიერ კარგად არის დამუშავებული და გამოცდილი. თანაც, იგი ყველასთვის ერთი უნდა იყოს იმისდა მიუხედავად, დამნაშავეა მსჯავრდებული თუ უდანაშაულო. ამის საფუძველზე სასამართლო მარტივად მიიღებს არსებული ხელისუფლებისთვის სასურველ გადაწყვეტილებას. ეს პირობითად "პოეტური" საკანონმდებლო ხერხი მკაცრად ფორმულირებულ კანონს მეტაფორად აქცევს, რაც საშუალებას აძლევს სამართალდამცავ ორგანოებს, ფაქტებით კი არ შეაფასონ განსასჯელთა ბრალეულობა, არამედ უბრალოდ შარი მოსდონ მათ.

მეორე მხრივ, ეს "იძულებითი" ნაბიჯი არსებული ხელისუფლებისთვის სასურველ ფსიქოლოგიურ ატმოსფეროს ქმნის. "დემოკრატიული" რევოლუციის შედეგად გამარჯვებული რეჟიმი, რომელიც უცხო ქვეყნის ჯარის დაცვის ქვეშ იმყოფება და, შესაბამისად, საოკუპაციო ხასიათი აქვს, საკუთარი სტატუსის შესანიღბად მოწინააღმდეგე პოლიტიკურ ძალას ნათლავს სამშობლოს მოღალატედ და საკუთარი დანაშაულებებისთვის მას აგებინებს პასუხს - ანუ, იდეაშივე სპობს ყოველგვარი წინააღმდეგობის მცდელობას.

ალბათ, საკვირველია გამარჯვებულის პოზიციაში მყოფი არსებული ხელისუფლების ესოდენი სისასტიკე. მით უმეტეს, რომ რეალური წინააღმდეგობის მცდელობა მან მოსვლისთანავე სისხლითა და ძალადობით ჩაახშო. მაშინ რას ნიშნავს ეს სასიკვდილო განაჩენი? ალბათ, სწორედ იმას, რომ რეჟიმს თვით ეროვნული იდეის არსებობაც კი დისკომფორტს უქმნის. ამ განაჩენით იგი იდეას ებრძვის, რასაც ამ იდეის მიმდევართა რეპრესიებით და ფიზიკური განადგურებით გამოხატავს. და ეს, მისი ლოგიკიდან გამომდინარე, ბუნებრივიცაა.

გვაკვირვებს მხოლოდ ის, რომ არსებული ხელისუფლების მიერ დამყარებული რეჟიმის სისასტიკე არ იწვევს საყოველთაო აღშფოთებას და შემოთავაზებულ კონიუნქტურაშიც ჰარმონიულად ჯდება. დუმს სრულიად საქართველოს ეკლესია, დუმს "ინტელიგენცია", დუმს "დემოკრატიისა და ჰუმანიზმისთვის" მებრძოლი საზოგადოება; და ამ დუმილით დასტურს აძლევს ხელისუფლების ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას - ფიზიკურად გაანადგუროს ყველა, "ვინც მათთან ერთად არ არის".

დღეს კანონიერი ხელისუფლების მომხრეთათვის ყველაფერი აკრძალულია და როგორც უკანასკნელი სასამართლო განაჩენიც გვაფიქრებინებს, თვით ამ სამყაროში ფიზიკური არსებობის უფლებაც კი ჩამორთმეული გვაქვს.

არსებული რეალობა გვახსენებს, რომ თუ ამ განაჩენის აღსრულებას წინ არ აღუდგა ქართველი ერი, არ იზრუნა ამ მანკიერი პრაქტიკის აღმოსაფხვრელად, იგი საკუთარი მომავლის ულმობელი ჯალათი გახდება, რომელსაც სამყაროში არსებობის არანაირი მორალური უფლება აღარ გააჩნია.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს საზოგადოება ორად არის გახლეჩილი, მიუხედავად იმისა, რომ დაპირისპირებული მხარეები სრულიად განსხვავებული ფასეულობებით ცხოვრობენ, ღრმად გვწამს, რომ საზოგადოება ერთიანი ძალისხმევით წინ აღუდგება ამ სასიკვდილო განაჩენს, როგორც არსებული ხელისუფლების უზნეო სურვილს; და ჩვენი ხმაც არ დარჩება "ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა".

*ქეთევან ქურდოვანიძე*

# სიკვდილმისჯილი კინაღამ მაგიდას მიაბეს

4 ოქტომბერს, საქმის მასალების გაცნობისას, სიკვდილმისჯილი სამხედრო ტყვე - ბადრი ზარანდია, კინაღამ საწერ მაგიდას მიაბეს. როგორც ზედამხედველმა განაცხადა, ამგვარი განკარგულება მას მიუღია №1 საგამომძიებლო იზოლატორის უფროსისგან. როგორც ცნობილია, ბადრი ზარანდიას მოკვეთილი აქვს ფეხი ბარძაყის ძირში და ჯდომისას განიცდის მწვავე ტკივილებს, ამიტომ იძულებულია, ხშირად ადგეს ფეხზე.

"მე ეს ყველაფერი ავუხსენი იზოლატორის მორიგეს, რომლისგანაც სალანძღავი სიტყვების მეტი არაფერი მსმენია. ამის შემდეგ შემოვარდა იზოლატორის უფროსი, რომელიც მოიწევდა ჩემზე ფიზიკური ანგარიშსწორებისთვის,ამასთანავე გაყვიროდა, ელენე თევდორაძემ ზედმეტი დღეები დაგიმატა საქმის გასაცნობადო". - ნათქვამია ბადრი ზარანდიას განცხადებაში, რომელიც მან გააგზავნა ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების სახელზე.

ამასთან დაკავშირებით, პროტესტის ნიშნად, სიკვდილმისჯილმა 4 ოქტომბრიდან შეწყვიტა საქმის მასალების გაცნობა და გამოაცხადა გამაფრთხილებელი შიმშილობა.

ნიშანდობლივია, რომ ამ ინციდენტის შესახებ ჩვენთვის ცნობილი გახდა მხოლოდ 10 ოქტომბერს, რაც ერთობ შემაშფოთებელია, ვინაიდან ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველოში პატიმართა იზოლაცია, უპირველესად, ემსახურება მათ მიმართ სასტიკი მოპყრობის ფაქტების დაფარვას. მით უფრო აღმაშფოთებელია ამგვარი სისასტიკის გამოჩენა ფეხმოჭრილი სიკვდილმისჯილის მიმართ.

# რამაზ ვანიშვილს 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს

**ის ფაქტი, რომ სასამართლომ ხელმეორედ განიხილა რამაზ ვანიშვილის საქმე და საგრძნობლად დაამძიმა განაჩენი, მიმდინარე სხვა პოლიტიკური სასამართლო პროცესების გათვალისწინებით, მეტყველებს იმაზე, რომ მმართველმა წრეებმა რეჟიმის გამკაცრება დაისახეს მიზნად.**

## მთავრობა, რომელიც უგონო პოლიტიკით დააქცევს ქვეყანას, კანონიერი ვერ იქნება

9 ოქტომბერს, გორის ბატალიონის მეთაურის, სამხედრო ტყვის - რამაზ ვანიშვილის სასამართლო პროცესზე, დარბაზში მყოფი ხალხის სიმრავლისგან აღელვებულმა ბრალმდებელმა გიგიტაშვილმა წარმოთქვა თავისი საბრალდებო სიტყვა. მან, "ზვიადისტების" პროცესებზე ჩამოყალიბებული ტრადიციისამებრ, დადასტურებულად ცნო ვანიშვილის ბრალი და მეტად ორიგინალურად შეაფასა მისი ქმედებები და, საერთოდ, საქართველოში მიმდინარე პროცესები: "...ის მთავრობა, რომელიც თავისი უგონო პოლიტიკით დააქცევს ქვეყანას, კანონიერი ვერ იქნება... "კანონიერი ხელისუფლებაო" - ეს არ არის რამაზის რწმენა, არამედ რამაზის ბრმა ფანატიზმია... რწმენა მიმართულია ხალხის საკეთილდღეოდ..."

საბოლოოდ, მან იშუამდგომლა კოლეგიის წინაშე, განსასჯელისთვის მიესაჯათ 15 წლით თავისუფლების აღკვეთა ქონების კონფისკაციით, სასჯელის მოხდით მკაცრი რეჟიმის კოლონიაში, სახელმწიფოსთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებით.

## ვანიშვილი არ არის დეზერტირი, ის პატრიოტია

დაცვით სიტყვაში პოლიტპატიმრის ადვოკატმა - თამარ ლაშაბერიძემ, ვანიშვილისთვის წარდგენილი ბრალდება აშკარად დამძიმებულად მიიჩნია და განმარტა, რომ იგი, "როგორც კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენელი - გორის საკრებულოს დეპუტატი, იმთავითვე განიცდიდა შევიწროებას იარაღის ძალით მოსული ბანდიტებისგან. ქართული მოსახლეობის დასაცავად შევიდა სამშვიდობო ბატალიონში, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ეს იყო თავის მოტყუება, რადგან სამხედროები, ფაქტობრივად, ვერ ასრულებდნენ თავის ფუნქციას. პროფესიონალმა სამხედრომ - ქებაძემაც აღნიშნა, რომ ისინი თავის მოვალეობას ვერ ახორციელებდნენ, ვერ ეხმარებოდნენ ქართველებს, არ ჰქონდათ საჭმელი, ფორმა... ასეთ ვითარებაში ვანიშვილი მიდის იქ, სადაც უნდა ყოფილიყო ყველა პატრიოტი. ის სამხედრო სამსახურს არ გაქცევია...

... ყველამ კარგად ვიცით, რომ უკანონო მთავრობის იურისდიქცია არ ვრცელდებოდა მთელ რიგ რაიონებზე. დასავლეთ საქართველოში აღდგა კანონიერი ხელისუფლება, ფუნქციონირებდა ეროვნული გვარდიის სამმართველო, კონტრდაზვერვა, პოლიციის განყოფილებები, იზოლატორი, საწვრთნელი ბაზები, ტარდებოდა უზენაესი საბჭოს სესიები, ფუნქციონირებდა მინისტრთა კაბინეტი... ეროვნული გვარდია რომ უკანონო ყოფილიყო, არც შევარდნაძე იკადრებდა ქობალიასთან მოლაპარაკებას. საქართველოში ორხელისუფლებიანობა იყო, ამის უარყოფა სასაცილოა და მეტი არაფერი. აი, სწორედ ამ ვითარებაში მიიღო რამაზ ვანიშვილმა გადაწყვეტილება, შეერთებოდა კანონიერ ხელისუფლებას, მიცემული ფიცის თანახმად...

კიდევ უფრო სასაცილოდ ჟღერს მის მიმართ წარდგენილი ბრალდება საქართველოს სუვერენიტეტის საზიანოდ... საქმიდან ირკვევა, რომ ის აქტიურად იღებდა მონაწილეობას აფხაზეთის ომში და ამიტომ შევიდა კანონიერი გვარდიის სამსახურში. დადასტურებულია კიდეც მისი ტამიშთან, შრომასთან, ტყვარჩელთან, სოხუმის მისადგომებთან ბრძოლებში მონაწილეობა. ლომის წილი რუსის დესანტის განადგურებაში და სასიცოცხლო გზის გახსნაში, ქობალიას შენაერთების დამსახურება იყო. ამ ბრძოლებში ვანიშვილიც მონაწილეობდა... ასეთი გამარჯვების - რუსის დესანტის განადგურების შემდეგ, იდება 27 სექტემბრის ხელშეკრულება. დაპირისპირება ორ მხარეს შორის განაახლა და გააღრმავა სწორედ იმან, რომ, ხელშეკრულების თანახმად, მძიმე ტექნიკა უნდა გამოეყვანათ სოხუმიდან. მაგრამ, რატომღაც, შევარდნაძის მთავრობამ ზუგდიდის გზით კი არ გამოიყვანა ეს ტექნიკა, არამედ დაიქირავა რუსის გემები, დახარჯა დოლარები... სოხუმი დარჩა განიარაღებული, დაიკარგა აფხაზეთი და, ღმერთმა უწყის, როდის მოხერხდება მისი დაბრუნება..."

ადვოკატმა მოითხოვა ვანიშვილის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა, რამაც სახელმწიფო ბრალმდებლის ღიმილი გამოიწვია.

## სისხლის სამართლის კოდექსის რომელიმე მუხლით მისი გასამართლება შეუძლებელია

რამაზ ვანიშვილის საზოგადოებრივმა დამცველმა, ქალბატონმა სევდია უგრეხელიძემ, მეტად შთამბეჭდავი სიტყვა წარმოთქვა:

"კანონიერი გვარდიის მაიორის, ამჟამად პატიმარ რამაზ ვანიშვილის სასამართლო პროცესი ჩვეულებრივია და უჩვეულოც, დღევანდელ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ფონზე. ჩვეულებრივია იმით, რომ რამაზ ვანიშვილი იყო და რჩება კანონიერების ერთგული და ამიტომ იგი დასჯილ უნდა იქნეს სახელმწიფო გადატრიალების გზით მოსული ფაქტობრივი ხელისუფლების მიერ. უჩვეულოა იმით, რომ, გაასამართლა რა სამხედრო სასამართლომ, საქმის ძიებაში ორჯერ დაბრუნების შემდეგ მოუხსნა წაყენებული ესოდენ პოპულარული 65-ე მუხლი და საბოლოოდ, "სამხედრო დანაშაულობისთვის" მის სასჯელად განსაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. ცხადია, სამხედრო სასამართლო არცთუ ისე კარგად იცნობდა ხელისუფლების სხვა ორგანოების მიერ დამკვიდრებულ ტენდენციებს ოპოზიციურად მოაზროვნეთა მიმართ დამოკიდებულებაში. მათი პოლიტიკური უმეცრების გამოსწორების მიზნით, 1996 წლის თებერვალში, როცა რამაზ ვანიშვილი უკვე სასჯელს იხდიდა, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის, გ. ლილუაშვილის მიერ დაიწერა პროტესტი ზედამხედველობის წესით".

საზოგადოებრივი დამცველის ღრმა, აშკარად პოლიტიზირებულ სიტყვაში მართლად აისახა საქართველოს უახლესი ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენები, რომელთა გამოძახილიც, ფაქტობრივად, გახლდათ მიმდინარე პოლიტიკური პროცესი. ბრალდების მხარის არგუმენტთა დასაბუთებული უარყოფის შემდეგ, ქალბატონმა სევდიამ არსებითად მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა, რასაც, სამწუხაროდ, არათუ რეაგირება, ყურადღებაც კი არ მოჰყოლია სასამართლოს მხრიდან:

"ბრალდება რამაზ ვანიშვილის მიმართ, საბრალდებო დასკვნაში მოცემული ყელა მუხლით, მიმაჩნია უმართებულოდ და ვთვლი, რომ, საერთოდ, სისხლის სამართლის კოდექსის რომელიმე მუხლით მისი გასამართლება შეუძლებელია, რადგან რამაზ ვანიშვილი იყო სამხედრო პირი, რის გამოც მას პირდაპირ ეხება ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციის მეორე დამატებითი ოქმი არასაერთაშორისო სახის შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ, რომლის პირველი ნაწილის №1 მუხლში ნათქვამია, რომ მისი გამოყენების ძირითადი სფერო შეეხება "კონფლიქტს მოლაპარაკებებში მონაწილე რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეიარაღებულ ჯარებსა და ანტისამთავრობო შეიარლებულ ძალებს, ან სხვა ორგანიზებულ შეიარაღებულ ჯგუფებს შორის, რომლებიც იმყოფებიან პასუხისმგებელი სარდლობის ქვეშ, რომელიც ახორციელებს კონტროლს ქვეყნის ტერიტორიის ნაწილზე"... და ა.შ.

ხსენებული ოქმი წარმოადგენს პირველი ოქმის შევსებას, რომლის II კარში კომბატანტებისა და სამხედრო ტყვეების სტატუსის შესახებ ვკითხულობთ, რომ იმ შემთხვევაშიც კი, "თუ შესაბამისი ხელისუფლება არაა აღიარებული მოწინააღმდეგის მიერ" (მუხლი 46), ნებისმიერი კომბატანტი მოწინააღმდეგის ხელში მოხვედრისას წარმოადგენს სამხედრო ტყვეს (მუხლი44). ყველა ეს მონაცემი შეესაბამება 1993 წელს საქართველოში არსებულ კონფლიქტს - კომბატანტი რამაზ ვანიშვილი არის სამხედრო ტყვე, ხოლო იმავე კონვენციის I დამატებითი ოქმის III თავის (მე-7 მუხლის ბ პუნქტის) მიხედვით, "სამხედრო ტყვეები ექვემდებარებიან რეპატრიაციას დაუყოვნებლივ, საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ, ე.ი. ცეცხლის შეწყვეტისთანავე... მათი ჯანმრთელობის, პატივის, ღირსების დაცვით".

ამრიგად, კომბატანტი რამაზ ვანიშვილი 19 ნოემბერს აყვანილია ტყვედ მოწინააღმდეგე სამხედრო ფორმირების "მხედრიონის" მიერ და დაუყოვნებლივ უნდა იქნეს განთავისუფლებული."

## ვრჩები სამშობლოს რიგით ჯარისკაცად

მოსამართლესთან ხანგრძლივი დავის შემდეგ, პოლიტპატიმარმა რამაზ ვანიშვილმა, ბოლოს და ბოლოს, მიიღო საბოლოო სიტყვის უფლება. მან სულ რამდენიმე წინადადება წარმოთქვა. მოკლედ, ნათლად, სადად ჩამოაყალიბა სათქმელი: ვრჩები სამშობლოს რიგით ჯარისკაცად... არასდროს მიღალატია სამშობლოსთვის, რომლის სიყვარულსაც შეეწირა ჩემი ერთადერთი ძმა. ახლა ჩემი ჯერია. მეამაყება, რომ სამშობლოს სიყვარულისთვის მასამართლებენ.

## სასამართლო მორჩილად აღასრულებს ოფიციალურ დაკვეთას

როგორც მოსალოდნელი იყო, სასამართლო ერთგული დარჩა საქართველოში ბოლო ჟამს დამკვიდრებული ტრადიციისა. მან ყურად არ იღო საზოგადოებრივი დამცველის კეთილი ნების შეგონება: "პატივცემულო სასამართლო კოლეგიის წევრებო, ნუ დაკარგავთ, გამოიყენეთ ეს შესაძლებლობა", გახდეთ "სასამართლო უწყების რეალური რეფორმატორები, რომელიც გამოვიდა იდეოლოგიური დიქტატიდან, რაც გამოიხატება დამოუკიდებელ, სამართლიან, ჰუმანურ განაჩენში." ყველაფერი ათასჯერ გათამაშებული, გაცვეთილზე გაცვეთილი სცენარის თანახმად განვითარდა - მოსამართლე ცისკარიშვილმა ცნო ვანიშვილის ბრალეულობა და მას 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით.

კიდევ ერთი პოლიტიკური სასამართლო პროცესი დამთავრდა ყოველგვარი სენსაციების, ხმაურისა და "სამართლიანი" ექსცესების გარეშე.

*ნინო ჩეჩელაშვილი*

# შევარდნაძის დასავლური თამაშები რუსული "ერთიანი კავკასიისთვის"

რუსეთისთვის ფრიად შემაშფოთებელი სიტუაცია დსთ-ს სამხრეთ საზღვართან, ჩეჩნეთის მოვლენები, ურთიერთობის თანდათანობით დაძაბვა დასავლეთთან, რუს პოლიტიკოსებს თავიანთი გავლენის სფეროების განმტკიცებისა და ამისთვის დსთ-ს მთელ სივრცეში გაბნეულ მარიონეტთა გააქტიურების აუცილებლობას უკარნახებს.

კავკასია რუსეთისთვის ჯერჯერობით კვლავ უპირველეს პრობლემად რჩება. ჩეჩნეთში დამარცხების და ომის გარკვეული სახით, გარკვეული დროით დაკონსერვების შემდეგ რუსეთი ცდილობს, სხვა მიმართულებითაც ექიოს დასაყრდენი კავკასიაში და, ბუნებრივია, მთავარ მოკავშირედ ამ საქმეში კვლავ საქართველოს ფაქტობრივ ხელისუფლებას მიიჩნევს, რომლის დამოკიდებულებაც კავკასიის მიმართ, რუსეთის განწყობილების შესაბამისად განიცდის კორექტირებას.

ამჯერად კავკასიაში რუსეთის ჰეგემონობა რამდენადმე საფრთხის წინაშე დააყენა დასავლეთის მიერ ხმამაღლა გაცხადებულმა ინტერესებმა აღნიშნულ რეგიონში. ეს ტენდენცია გამოიკვეთა თბილისში ახლახან ნატოს ეგიდით ჩატარებულ კონფერენციაზე, სადაც ღიად იქნა გაცხადებული, რომ დასავლეთი დაინტერესებულია კავკასიის უსაფრთხოებით... კონფერენციაზე აღინიშნა, რომ რუსეთის ფაქტორის გაუთვალისწინებლად ამ საკითხის გადაჭრა შეუძლებელია, თუმცა, ხაზი გაესვა იმასაც, რომ უსაფრთხოების სისტემის შექმნისას რუსეთის ზესახელმწიფოდ ჩართვა დიალოგში ნაკლებპროდუქტიულია და აქაური პრობლემების მოგვარება ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების უშუალო ჩართვითა და მონაწილეობით უნდა განხორციელდეს. ამგვარი დამოკიდებულება დასავლეთის მხრიდან კავკასიისადმი, იმპერიულ ძალებს დაუყოვნებლივ უღვივებს მგლურ ინსტინქტებს და შესაბამისი ნაბიჯების გადადგმისკენ უბიძგებს. რა თქმა უნდა, შემთხვევითი არაა, რომ ამ რთულ სიტუაციაში ისინი დახმარებისთვის საქართველოს ფაქტობრივ ხელისუფლებას და მის თავკაცს მიმართავენ, რომელიც დღემდე მთავარმმართებლის ჟინით და შემართებით ასრულებს კავკასიაში რუსეთის ინტერესების დამცველის როლს.

გასულ კვირაში რუსეთის დუმის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის დეპუტატს პოდბერიოზკინს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა შევარდნაძესთან რუსეთში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით. დეპუტატის აზრით, არსებობს საშიშროება, რომ ამერიკა და ნატო რუსეთის ადგილს დაიჭერს ამიერკავკასიაში. "ამაზე თვალის დახუჭვა არ შეიძლება" - ამბობს იგი. ქართველი მარიონეტი კი, რომელიც კვლავ აგრძელებს უხეირო, პრიმიტიულ "თამაშს" რუსეთსა და დასავლეთს შორის, "გონიერი", "ძნელად სამართავი" პოლიტიკოსის პოზით, რუსეთს კავკასიის მიმართ განსაზღვრული პოლიტიკის არქონის გამო საყვედურობს, რაც მით უფრო საოცარია, რომ სულ ცოტა ხნის წინ თავად იყო კავკასიის ძირძველი ხალხის - ჩეჩნების - მიმართ რუსეთის მიერ განხორციელებული პოლიტიკად წოდებული აგრესიისა და ბარბაროსობის აპოლოგეტი... თუმცა, რუსეთში კარგად ესმით, რომ ამგვარ "საყვედურს" ქვეშევრდომის მხრიდან გართულებები არ მოჰყვება - პირიქით, მოყვრისთვის პირში ნაზრახი სიმართლე, შესაძლოა, "ახალი სტრატეგიული კურსის" შემუშავებასაც დაედოს საფუძვლად.

ნატოს დაინტერესება კავკასიით, საქართველოში ბევრმა აღიქვა რუსეთის ჰეგემონიის დასასრულად - "ეს საინტერესოდ დაემთხვა ქართულ-რუსულ დიპლომატიურ "გამწვავებას" და მოსკოვს თვალში არ მოსდის საქართველოს დაახლოება ნატოსთან" - მიუთითებენ ისინი... "გამწვავებაში" ამ აზრის ავტორები, რაღა თქმა უნდა, ქვანიას ამასწინანდელ გაცხარებას და მმართველი პარტიის მიერ ამ გაცხარების პასუხად გამართულ ოვაციებს მიიჩნევენ... მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ეს "რადიკალიზმი" რამდენიმე დღეში მოექცა კალაპოტში და რუსეთის სამშვიდობო ძალების გარშემო იქნა ლოკალიზებული. ამდენად, რუსეთმა შესანიშნავად იცის, რომ საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლების მხრიდან ამ რეგიონში მის ინტერესებს საფრთხე არ ემუქრება. რუსეთისთვის მთავარი დასავლეთის პრობლემაა, რომელიც არანაკლები მადითა და არანაკლები მომხმარებლური ინტერესებით მიისწრაფვის კავკასიისკენ. საქართველოს მარიონეტულ რეჟიმს ამ სიტუაციაში ერთადერთი ფუნქცია აკისრია - მან ახალი "პარტნიორის" ინტერესების გამოვლენა შესაბამის - კონტროლირებად სიბრტყეში უნდა მოაქციოს. ამისთვის კი სულაც არაა საჭირო დასავლეთის მიმართ "ცივი ომის" ხანის მეთოდების გამოყენება. პირიქით, უფრო ეფექტურია დასავლეთთან კავშირის აუცილებლობაზე ლაპარაკი, ახალი ურთიერთობების ერთი კაცის ავტორიტეტის წყალობად გამოცხადება, კავკასიის განუმეორებელი გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამუდმებით შეხსენება და ა. შ. ..."ეს კონფერენცია ხელს შეუწყობს რეგიონში უსაფრთხოების გაძლიერებას და ერების დაახლოებას, რაც საფუძველია პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი "მშვიდობიანი კავკასიისა" - განაცხადა ნატოს ეგიდით მიმდინარე კონფერენციაზე ი. მენაღარიშვილმა. ეს კი, თავის მხრივ, იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს ხელისუფლება დასავლეთის სტრატეგიულ ინტერესებს კავკასიაში სწორედ რუსეთის მისწრაფებების შევარდნაძის მიერ შემოფარგლული "ერთიანი კავკასიის" საზღვრებში განიხილავს...

"დიდი დიპლომატი" კიდევ ერთხელ მიუთითებს თავისი პოზიციის სისწორეზე, რომელიც მხოლოდ რუსეთთან მიმართებაში ვლინდება - "სტრატეგიული პარტნიორების ურთიერთობის დამყარება ორივე ქვეყნის ინტერესებშია" - დასძენს იგი და იქვე მონობის კომპლექსით შეპყრობილი ჩინოვნიკის იერით მიუთითებს: "ჩვენი და რუსეთის ურთიერთობა სულაც არაა ურთიერთობა ცენტრსა და პროვინციას შორის," - ორივენი დამოუკიდებელი სახელმწიფოები ვართო. გარდა ამისა, იგი კვლავ რუსეთის ხელში იგულვებს აფხაზეთის პრობლემის გასაღებს, ხოლო მისი რჩეული პარტიის აქტივისტები, კვლავინდებურად ირონიით უყურებენ ჩეჩნეთის წარმატებებს, კვლავ გაურბიან ჩეჩნეთზე, როგორც დამოუკიდებელ რესპუბლიკაზე საუბარს.

შევარდნაძის "ერთიანი კავკასიის" იდეის "ხორცშესხმა" ფრიად ეფექტურად ხორციელდება "კავკასიური ორიენტაციის" ინტელექტუალთა ძალისხმევის ფონზე. საქართველოს მმართველ რეჟიმს "ერთიანი კავკასიის" იდეის განსახორციელებლად, ფაფახზე ცხვირაბზუებული და დუქმომდგარი ჩეჩენთმოძულეების ნაცვლად, ამჯერად სწორედ ინტელექტუალურ საფუძველზე აღმოცენებული ცივილიზებული, "მოზომილი" კავკასიური "ერთობის" მქადაგებელნი სჭირდება, რომლებმაც, ბევრი "მოქალაქე-აქტივისტისგან" განსხვავებით, კარგად იციან კავკასიის ხალხთა ისტორია, შექმნეს მეცნიერული ნაშრომები, იცნობენ ჩვენი ხალხების ნათესაობის საფუძვლებს, ტრადიციებს.

ფაქტობრივი ხელისუფლებისთვის, რომელმაც უკვე სცადა დაენერგა ქართველში "საშიში", "ფაფახიანი", "კაციჭამია" კავკასიელის ხატება, დღეს სწორედ ამგვარი - ზომიერი, "ინტელექტუალური" კავკასიური ორიენტაციის ძალებია საჭირო. მმართველი რეჟიმი ხელს არ შეუშლის მათ ინიციატივებს და "საქმიან ფუსფუსს". პირიქით, წაახალისებს და, თუ საჭირო გახდა, დააფინანსებს კიდეც, მაგრამ ერთი პირობით - ეს ყველაფერი არ უნდა გასცდეს სალონური მოღვაწეობის ფარგლებს, ყველაფერი "მეცნიერული მოღვაწეობის", "ჰუმანიტარული დარგის" დონეზე უნდა დარჩეს. დღეს, ლამის ყოველდღიურად ტარდება ამგვარი კონფერენციები, სემინარები... "კავკასიური სახლის" გახმაურებულ ღონისძიებას ნატოს ეგიდით მიმდინარე კონფერენცია მოჰყვა. ცოტა ხნის წინ კი, ტაბახმელაში ივ. ჯავახიშვილის 120 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია ჩატარდა - "კავკასია მსოფლიო ისტორიის კონტექსტში", რომელსაც თვით ედ. შევარდნაძე გამოეხმაურა (მიუხედავად იმისა, რომ მისი "შორსმჭვრეტელური" პოლიტიკის თანახმად, კავკასია ლამის "ამოგდებულიც" იყო მსოფლიო ისტორიის კონტექსტიდან. საგულისხმოა ისიც, რომ ი. ჯავახიშვილის მრავალმხრივი მოღვაწეობიდან, ამ ეტაპზე, წინა პლანზე წამოწეული იქნა სწორედ კავკასიის თემა). რასაკვირველია, "ახალი კავკასიის" შემოქმედს ივ. ჯავახიშვილის გვერდით არც საკუთარი თავი დავიწყებია - მან ვრცლად ისაუბრა კავკასიის გეოპოლიტიკაზე, მშვიდობიანი კავკასიის საკუთარ კონცეფციაზე. გამოთქვა სურვილი, შეიქმნას კავკასიოლოგთა საერთაშორისო ასოციაცია და დასძინა, რომ კავკასიაში მშვიდობის დამყარების საფუძველი მეცნიერება უნდა გახდეს.

"მშვიდობიანი კავკასიის იდეა ივ. ჯავახიშვილის ნაშრომებიდან მოდის" - საყმაწვილო წიგნის სიბერის ჟამს წამკითხავი კაცის "აღტაცება" გაერია ხმაში მეთაურს. დიდ მეცნიერთან ამგვარი ალავერდის შემდეგ, "დიდ პოლიტიკოსს" აღარ გაუჭირდება თავის გამოცხადება ივ. ჯავახიშვილის იდეების მემკვიდრედ; ამგვარი პერსპექტივა კი კავკასიის ჭეშმარიტი ერთობის იდეას კიდევ უფრო საეჭვო მომავალს უმზადებს.

***ნუგზარ წიკლაური***

## TAVISUPALI SAKARTVELO

### (FREE GEORGIA)

## №36 (in brief)

### 16 - 21 October, 1996

## Protest Against the Demand of the Prosecutor

The demand of the prosecutor to sentence the political prisoners Mr. Zviad Dzidziguri, Mr. Vakhtang Kobalia and Mr. Jambul Bokuchava to death which was made on October 7 at the ongoing political Court Hearing at the Supreme Court, was followed by acute response from the broad layers of the Georgian society and wide spectrum of political parties.

* * *

Joint declaration against pronouncing the death sentence to the political prisoners was made by eleven political parties and public societies of Georgia including Helsinki Union of Georgia, Konstantine Gamsakhurdia Society, National Front - Radical Union, National-Conservative Party of Georgia, Conservative League of Georgia and others.

The authors of the declaration believe that such verdict can be considered as a publicly declared political murder, since "...at the ongoing Court Hearing the guilt of the defendants- - political prisoners and prisoners of war was not proved. Instead the Court hearing revealed rough violations of the Law in the course of the preliminary investigation. The facts of torturing of the defendants and exerting pressure on them. The prosecution's pressure on the undesirable witnesses continued during the Court Hearing as well even on the part of the judge. In the course of the preliminary investigation and Court Hearing the highest rank representatives of the authorities kept to continuously roughly violate the presumption of innocence."

* * *

On October 10 in the headquarters of the Party of National Independence was held the press-conference of the Organizing Committee of National-Liberating Movement of Georgia headed by the Chairman of the Party of National Independence Mr. Irakli Tsereteli.

At the press-conference the journalists were presented with the declaration which expressed the protest against the demand of the Prosecution to pronounce the death sentence to Mr. Zviad Dzidziguri, Mr. Vakhtang Kobalia and Mr. Jambul Bokuchava.

* * *

On October 9 the deputy of the Parliament of Georgia from the majoritarian region Mr. Tariel Chichua appeared by a local TV in Kutaisi. He shoed his protest against the demand to pronounce the death sentence to the political prisoners. He said that the population of Samtredia who remember very well the period when Mr. Zviad Dzidziguri was a prefect cannot hide their concern about the demand of the Prosecution.

"I was carefully watching this Court Hearing and declare that the Prosecution failed to prove that even Mr. Kobalia committed murder of physical persons to leave aside the other defendants." The deputy is concerned that the Prosecution demanded to bring charges against those witnesses who refused to confirm these murders. To his opinion, the Bodies of Law and Order and Legal Bodies have so tarnished reputation that their charges are not convincing to anybody. "I recall the fatal mistake when the young boys participating in high-jacking were executed. (...) We simply do not have right to repeat this mistake."("The Akhali Taoba" newspaper, #163, 12.10.96)

Fifty internally displaced people from Abkhazia appealed to the member of the Supreme Court Board Mr. Alexandre Aladashvili. They stress that Mr. Vakhtang Kobalia and Mr. Jambul Bokuchava were selflessly fighting in Abkhazia to defend the territorial integrity of Georgia. As for Mr. Zviad Dzidziguri, and Mr. Nugzar Molodinashvili they spared no efforts to ensure safe evacuation of the refugees from Abkhazia to the territory of Samegrelo and provide them with shelter and food.

## Is Aladashvili a Judge or a Violator?

At the Court Hearing of Zviad Gamsakhurdia and His Supporters' Case" at the Supreme Court the resident of the village of Shua Khorgi of Khobi Region Mr. Gela Katsarava was interrogated as a witness in relation to the episode of death of the representatives of the governmental troops and journalist David Bolkvadze. It is noteworthy that his mother Mrs. Luiza Zarandia-Katsarava previously appealed to the Court with the statement saying that her son was threatened and demanded to testify that he was an eye-witness of Vakhtang (Loti) Kobalia shooting down the journalist David Bolkvadze. For this reason her son was even hiding himself since he did not want to give false testimony.

"On August 21 in the morning the policemen came to my place and took me to the Khobi police station where I was beaten in the process of interrogation. Mr. Zhvania (the staff-member of Khobi Regional Department of Internal Affairs) was threatening me demanding from me to testify that I saw how Mr. Kobalia killed the journalist (...). In the morning of the following day we went to Tbilisi to the Ministry of Internal Affairs and then to the house of Mr. Aladashvili. They were threatening me demanding to say that I saw that murder. We entered the Ministry, what I was subjected there to and what I said as a result I do not know since I fainted. Then I was taken to the Court Hearing. During the brake the judge demanded from me to say as he wanted otherwise he promised not to let me leave the Court building alive; he demanded from me to repeat what I said half an hour ago. I did not remember what I said. I cannot even imagine how I could say anything like what he was demanding from me. I said what I was ordered to. They forced this testimony from me. I was under the pressure and if necessary I will declare hunger-strike before the Embassy of the USA only to annul this testimony." ("The Akhali Taoba" Newspaper, #153, 1996).

As we see every day is further confirming our belief that in Georgia the Court Power does not exist as such and the Court Bodies are the product of black revolution exactly in the same way as "Mkhedrioni".

The statement made by Mr. Gela Katsarava about exerting pressure on him not only at the regional department of the police and ministry of Internal Affairs (which is quite a tradition in the present day Georgia) but also at the house of the member of the Supreme Court, judge Aladashvili (!!!) who was directly involved in this and with great enthusiasm continued "processing" of the witness even during the brakes between the Court Sessions, is sensational as such and provided such a serious charge is confirmed it cannot become the basis for punishing one specific person, since the fact itself is bringing to the light the criminal nature of the Legal System of Georgia.

## The Convict Condemned to Death was Nearly Tied to the Table.

On October 4 as he was getting acquainted with the materials of the Case, the convict, prisoner of war Mr. Badri Zarandia, condemned to death was nearly tied to the writing table. As his supervisor stated he received such order from the head of #1 Isolation detention Cell. As it is well known, Mr. Badri Zarandia's leg was amputated up to the femur joint and he suffers from unbearable pains when sitting for more or less long time. For this reason he had to often change his position and stand up.

"I explained all this to the officer in duty of the Isolator and in response heard only offenses. Then the head of the Isolator rushed into the room with unequivocal intention to physically settle scores with me. At the same time he was screaming that Mrs. Elene Tevdoradze provided additional days for me to get familiar with the materials of the Case", reads the statement of Mr. Badri Zarandia which he has addressed to the human rights organizations.

In relation with this as a token of protest the condemned convict ceased familiarizing himself with the materials of Case and declared the warning hunger-strike.

It is noteworthy that information about this incident became known to us only on October 10 which causes serious concern sine this fact once more confirms that the isolation of the prisoners in Georgia primarily serves to hide the facts of brutal treatment they are subjected to. Such brutality towards the invalid convict sentenced to death is even more scandalous.

მთავარი რედაქტორი თამარ ებრალიძე
EDITOR IN CHIEF TAMAR EBRALIDZE

მოგვწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი 8, საბონენტო ყუთი №227
Address for correspondence: Box #227, 380008, Tbilisi 8, Georgia

გაზეთის სარეგისტრაციო მოწმობის ნომერია 0441
იბეჭდება ს/ს კეგელში